1921 წლის 25 თებერვალი სხვადასხვა რაკურსით

ოთარ ჯანელიძე *

აბსტრაქტი

1921 წლის საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია სიმბოლიზებულია ცნებაში „25 თებერვალი“, მიუხედავად იმისა, ჩვენი ქვეყნის დაპყრობა დასრულდა 18 მარტს, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში გაიხიზნა და ბათუმი საბჭოთა რუსეთის ჯარმა დაიკავა.

ტატია დაფუძნებულია საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვის მეთოდზე. მასში წარმოჩენილია საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის მთავარი აქტორების, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების, XI წითელი არმიის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის, აგრესორის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ჯარისკაცების, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკს სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების, მოვლენის თვითმხილველ ადამიანთა - მწერლების, პოეტების, პუბლიცისტებისა თუ რიგითი მოქალაქეების პოზიცია და ხედვა.

საკვანძო სიტყვები: ოკუპაცია, 25 თებერვალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭოთა რუსეთი, რუსეთის წითელი არმია.

XX საუკუნის 90-ინი წლებიდან ჩვენში დაიწყო საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის გადაფასების პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება. ამ გადაფასება-ახლებურად გააზრების ერთი ასპექტი 1921 წელს საქართველოს ბოლშევიკურ ოკუპაციას უკავშირდება, რომელიც სიმბოლიზებულია ცნებაში „25 თებერვალი“, მიუხედავად იმისა, ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია თებერვლის 25-ში არ დამთავრებულა. იგი დასრულდა 18 მარტს, მაშინ, როდესაც

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში გაიხიზნა და მისი უკანასკნელი ნავსაყუდელი - ბათუმი საბჭოთა რუსეთის ჯარებმა დაიკავეს.

დიდი ხნის განმავლობაში საისტორიო მეცნიერებასა თუ საზოგადოებრივ ცნობიერებაში გაბატონებული იყო ამ მოვლენის მხოლოდ კომუნისტური აღქმა და შეფასება. იგი ცალმხრივი, ტენდენციური იყო და საბჭოთა რეჟიმის იდეურ განმტკიცებას ემსახურეობდა.

კარგა ხანია საიდუმლო აღარაა, რომ 1921 წელს განხორციელებული საქართველოს გასაბჭოება, რომელიც ბოლშევიკებმა ქვეყნის განთავისუფლებად გამოაცხადეს, სინამდვილეში რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი დაპყრობა იყო. ეს მოგვიანებით თვით კომუნისტურმა ისტორიოგრაფიამ აღიარა, რომელმაც თავის დროზე უკრიტიკოდ მიიღო ხელისუფლების მცდარი შეხედულება და მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ქართული სინამდვილე მიზანმიმართულად გააყალბა.

თანამედროვე სინამდვილეში შესაძლებელია საკითხის ფართო კუთხით, სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვა და გაშუქება. პრობლემის სხვადასხვა რაკურსით, რამდენიმე პერსპექტივიდან შესწავლა კვლევის საინტერესო მეთოდადაა აღიარებული და მყარად არის დანერგილი დასავლეთის ჰუმანიტარულ თუ სოციოლოგიურ მეცნიერებებში. ცნობილია, რომ ტექსტის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა აადვილებს მოვლენის რეალისტურ ასახვას, იგი ისტორიის სწორხაზოვანი აღქმისაგან თავის დაღწევის, მისი გლობალურად გააზრებისა და სხვადასხვა ტიპის ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.[1]

წინამდებარე სტატიაში შევეცდები წარმოვაჩინო საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის მთავარი აქტორების, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების, XI წითელი არმიის სამხედრო და პოლიტი-

[1] ლ. წულაძე, სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, თბ., 2020, გვ. 217.

კური ხელმძღვანელობის, აგრესორის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ჯარისკაცების, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკს სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეთა, მოვლენის თვითმხილველი ადამიანების - მწერლების, პოეტების, პუბლიცისტებისა თუ რიგითი მოქალაქეების პოზიცია და ხედვა.

შემორჩენილია 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე ქართველი გენერლების პატაკები, ჩანაწერები თუ მოგონებები, რომლებიც, რა თქმა უნდა, საინტერესოა მრავალი კუთხით, მაგრამ ისინი სამხედრო შენაერთებში, ფრონტზე არსებულ ვითარებასა და ბრძოლის პერიპეტიებს უფრო აღწერენ, ვიდრე საზოგადოებრივ განწყობებს, ამიტომ მათი განხილვისაგან ამჯერად თავს შევიკავებ.

საბჭოთა რუსეთის მმართველი ელიტის ანუ ოფიციალური მოსკოვისათვის, რომელიც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის ემზადებოდა, საქართველოს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. ცნობილია, რომ ამ რევოლუციის მთავარი მიმართულება აღმოსავლეთი იყო. როგორც მიხეილ კალინინი აცხადებდა: „თბილისს უნდა ეთამაშა მოსკოვის როლი აღმოსავლეთში, ის უნდა გადაქცეულიყო მეორე მოსკოვად“.[2] ეს იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთსა თუ ირანში რევოლუციის ცეცხლი საქართველოდან უნდა გადაეტანათ. მართლაც, კრემლში მიიჩნევდნენ, რომ გასაბჭოებული საქართველოს სახით შეიქმნებოდა „ახალი დასაყრდენი პუნქტი პროლეტარული თავისუფლებისა, რათა გამაგრდეს და დაუკავშირდეს აღმოსავლეთის მშრომელ ხალხს და მით დაამხოს საერთაშორისო კაპიტალის ბატონობა“.[3]

კრემლს საქართველოში ეკონომიკური ინტერესიც გააჩნდა და არც მალავდა, რომ „ბაქო უბათუმოდ არაფერია.“ ანუ, ბათუმის პორტის გარეშე, სადაც კასპიისპირა ნავთობი მილსადენით ჩადიოდა, იგი ამ სტრატეგიული მნიშვნელობისა და უაღრესად საჭირო საწვავით ფართოდ ვერ ისარგებლებდა. ამიტომ, საქართველოს ოკ-

[2] გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 30 აპრილი.

[3] გაზ. „წითელი მხედარი“, 1921 წ., 1 მაისი.

უპაცია 1921 წლის თებერვალ-მარტში მოსკოვისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, გადადგმული ორივე ხსენებული მიმართულებით.

რუსეთის ბოლშევიკური პარტიის პოლიტბიუროს წევრისა და სახალხო კომისრის ლევ ტროცკის მიხედვით: „ჩვენ ვერ ვხედავდით პოლიტიკურ ინტერესს მენშევიკური საქართველოს სამხედრო ლიკვიდაციისა, თუმც ამის სრული უფლება გვქონდა. ...თავს იმიტომ ვიკავებდით, რომ კარგად ვიცოდით: ბატონი მენშევიკები, თუ მათ ფეხზე დავაჭერდით, იყვირებდნენ დემოკრატიული ცივილიზაციის ყველა ენაზე... ქართველი მენშევიკი პოლიტიკოსები მთლიანად ინტელიგენტები იყვნენ, ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტების ყოფილი სტუდენტები და არ გვინდოდა მიგვეცა მათთვის მარჯვე საბაბი საერთაშორისო და „დემოკრატიული“ ისტერიკისათვის“.[4]

საერთაშორისო გართულების თავიდან არიდების გამო კრემლი საქართველოს წინააღმდეგ რადიკალური მოქმედების დაწყებას მართლაც რომ აჭიანურებდა, ეს სხვა წყაროებიდანაც კარგად ჩანს. ლენინი რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს, კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და XI წითელი არმიის სარდლობისაგან „სრული გამარჯვების“ გარანტიას მოითხოვდა.[5] ამასთან, სამხედრო ოპერაცია რაც შეიძლება სწრაფად უნდა დამთავრებულიყო, რათა საქართველოს ოკუპაციითა და გასაბჭოებით ანტანტა მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინათ.

რითი ამართლებდნენ ბოლშევიკი ლიდერები საქართველოში ჯარის ნაწილებით შემოსვლას? აცხადებდნენ, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მტრული პოზიცია დაიკავა საბჭოთა რუსეთისადმი, ვითომც „ის კონტრრევოლუციის ბანაკში გადა-

[4] Л. Троцкий. Между империализмом и революцией. Берлин,1922, с. 66-67.

[5] Владимир Ильич Ленин, Биографическая хроника, т. 10, М., 1979, с. 120; ვ. ლენინი, თხზ., ტ. 45, თბ., 1974, გვ. 50.

ბარგდა, მაშინ როდესაც საქართველოს მთელი მშრომელი ხალხის გულისცემა მიმართული იყო ოქტომბრის რევოლუციისაკენ. პროლეტარულ რუსეთს კი არ შეეძლო გაჭირვებაში მიეტოვებინა თავისი კლასობრივი თანამოძმენი, რომელთაც საქართველოს მენშევიკური მთავრობა ულმობელ ექსპლუატაციას უწევდა. 25 ოქტომბერი, რომელმაც შექმნა რუსეთის მუშათა კლასის საბრძოლო განთავისუფლების აქტი, საქართველოსთვის 25 თებერვალში გამოიხატა“.[6]

რას ნიშნავდა 25 თებერვალი XI წითელი არმიის სარდლობისა და სხვა მეთაურებისათვის? სამხედროებს, თუნდაც გენერლებსა და მაღალი რანგის ოფიცრებს, ჯარისკაცებზე რომ არაფერი ითქვას, სახელმწიფოს პოლიტიკურ გეგმებში სრულად გარკვევა არც ევალებოდათ და არც მოეთხოვებოდათ. მათ აძლევდნენ დავალებას, რომელიც განუხრელად უნდა შეესრულებინათ, პოლიტიკურ მეთაურებს კი აწვდიდნენ ტექსტსაც, როგორ შეეფასებინათ ესა თუ ის გადადგმული ნაბიჯი.

1921 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე თავდასხმის მონაწილე საბჭოთა არმიის 33-ე დივიზიის 292-ე პოლკის მეთაური ი. ზოლოტოვი წერდა: „ტვინის ცენტრში ჩვენ გვქონდა საომარი ბრძანება: დაუყოვნებლივ გაგვეწვდინა ხელი აჯანყებულ ქართველ მუშებისა და გლეხებისათვის“. ამავე ომის მონაწილე რუსი პოლკოვნიკის ლევ დემინის მოგონებებში ვკითხულობთ: „ჩვენ გვეუბნებოდნენ რომ საქართველოში მდგომარეობა არ იყო მშვიდი, თუმცა თუ რა ხდებოდა იქ არავინ იცოდა. ჩვენ ვიდექით საქართველოს საზღვართან რომლის ხელისუფლების სათავეშიც იდგნენ მენშევიკები ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ეს ნოე ჟორდანია არის მუშების მტერი; რომ საქართველო თითქოსდა დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა არის სრული ფიქცია და რომ ქართველ ხალხს არ უნდა დამო-

[6] ო. ჯანელიძე. დახვრეტილი თავისუფლება, თბ., 2000, გვ. 75-76.

უკიდებლობა და ჯიუტად მიიწევს მოძმე რუსი ხალხისკენ. ...ჩვენ ახლა გამოვალთ და წავალთ ქართულ მიწაზე. მტერი გაგვიწევს წინააღმდეგობას, მაგრამ ჩვენ მას დავამსხვრევთ და გავანადგურებთ... მოგვიწოდებდა მეთაური“.[7]

ამიტომ, რუსი სამხედროების თვალთახედვით, 25 თებერვალი და თბილისის დაკავება იყო დაგეგმილი სამხედრო ოპერაციის ფარგლებში განხორციელებული საბრძოლო დავალების ერთი წარმატებული ეპიზოდი, რომელმაც თითქმის მშიერ-მწყურვალი საბჭოთა ჯარი საკვებითა და სხვა აუცილებელი რესურსებით უზრუნველყო.

თბილისის მისადგომებთან ტყვედჩავარდნილი რუსი საბჭოთა ჯარისკაცების ინტერვიუები ნათქვამის დოკუმენტური ილუსტრაციაა. ერთ-ერთი მათგანის თანახმად: „ჩვენ ყველას მოგვაქვს თან ტომრები, რადგან დაგვპირდნენ, მთელი კვირა თბილისის გაძარცვის ნებას გაძლევთო: იქ მდიდარი ბურჟუები არიან და ყველაფერი უნდა წავართვათო“. სხვა ჯარისკაცის სიტყვებით: „ჩვენ ძალით გვაბრძოლებდნენ და მშიერ-მწყურვალთ იმედებით გვკვებავდნენ, რომ საქართველოში ვიპოვით სამოთხეს“.[8]

განსახილველი მოვლენა განსხვავებულად, მეტიც - ურთიერთგამომრიცხავადაა წარმოჩენილი საბჭოთა სამხედრო მეთაურებისა და პოლიტიკოსების თანადროულ განცხადებებში. მაგალითად, XI არმიის თბილისის მიმართულების ჯგუფის უფროსის, მე-20 მსროლელი დივიზიის მეთაურის მ. ველიკანოვის პატაკში აღნიშნულია: „ჩემდამი რწმუნებულმა ჯარმა 12 სთ. და 15 წუთზე დაიკავა ქალაქი ტფილისი. წითელარმიელების, კამანდირების და კომისრების გმირული მოქმედება მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებით დაგვირგვინდა. ქალაქი ტფილისი - ბურჟუაზიის უკან-

[7] http://urakparaki.com/?m=4&ID=66663

[8] გაზ. „საქართველო“, 1921 წ., 24 თებერვალი.

ასკნელი სიმაგრე დაეცა და საქართველო გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკად“.[9]

ბოლშევიკური ხელისუფლების სტრუქტურებში შემუშავებულ ტექსტს ახმოვანებდა საბჭოთა არმიის ერთ-ერთი სარდალი, 1922 წლიდან კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მეთაური, გენერალი (შემდეგში მარშალი) ალექსანდრ ეგოროვი, რომელიც აცხადებდა: „ლაპარაკი ოკუპაციაზე შეუძლებელია, ვინაიდან წითელი ჯარი არ არის კონგლომერატი რომელიმე განკერძოებული ერისა, არამედ ის არის მთლიანი ინტერნაციონალური მუშათა და გლეხთა შეიარაღებული ძალა, რომელიც ხიშტით ხელში იცავს თავის უფლებას“.[10]

ლევ ტროცკის თანახმად კი: „საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება ჩვენი ხელშეწყობით, მაგრამ თვით საქართველოს მშრომელმა მასებმა გადააგდეს პანღურით ბათუმის ლუკიდან“. ტროცკი ამ მოვლენას „სამხედრო რევოლუციას“ უწოდებდა და დასძენდა: „მან სავსებით წარმატებულად ჩაიარა და საერთაშორისო გართულება არ გამოუწვევია თუ არ ჩავთვლით ბურჟუაზიული პრესისა და მეორე ინტერნაციონალის გაშმაგებულ კამპანიას“.[11]

ტროცკიმ ეს მას შემდეგ დაწერა (1922 წელს), რაც საქართველოს ოკუპაცია უკვე მომხდარი ფაქტი იყო და ქვეყანაში საბჭოთა რეჟიმი მკვიდრდებოდა. ერთი წლით ადრე იგი რუსეთის ხელშემწყობ როლზე ასე თამამად ვერ იტყოდა, რადგან მაშინ ლენინის მკაცრი მოთხოვნა იყო, რომ დაეცვათ დებულება: „XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ოპერაციები ნეიტრალური ზონის[12] აჯანყებულთა ადგილობრივი დაცვაა თეთრგვარდიელთა მხრივ

[9] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 3 მარტი.

[10] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ., 8 ივნისი.

[11] Л. троцкий, Между империализмом и революцией. Берлин,1922, с. 66-67.

[12] იგულისხმება ლორეს ნეიტრალური ზონა.

მოსალოდნელი განადგურებისაგან“ და ამ ოპერაციის პოლიტიკურ ხასიათს ანგარიში უნდა გაეწიოს ყველა საჯარო გამოსვლაში.[13]

ცოტა მოგვიანებით, როდესაც ისტორია უკვე კრემლის თარგზე გამოიჭრა, XI არმიის ისტორიის მკვლევარი მ. ტარსკუნოვი დაწერს: „ქალაქი ტფილისი აღებულ იქნა გასროლის გარეშე. წითელი ჯარების შესვლას ქალაქში მხურვალედ მიესალმა მოსახლეობა. ქუჩებსა და მოედნებზე თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა, რომელიც შეძახილებით გამოთქვამდა თავის თანაგრძნობას ქალაქში შესული წითელი გმირებისადმი, რომლებმაც მათ მოუტანეს საბჭოთა ხელისუფლება“.[14] ან კიდევ: როდესაც 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმია თბილისში შევიდა, „ქალაქში გაისმოდა სიმღერები, უკრავდა ორკესტრი, რუსთაველის პროსპექტის ახლოს გაჩერდა ერთ-ერთი ნაწილი. თავი მოიყარეს ქალაქის მცხოვრებლებმა. ჩვენები მოვიდნენ! ჩვენები მოვიდნენ! გაისმოდა ყველგან“.[15]

ეს იყო განმეორება სერგო ორჯონიკიძის ფრაზისა, რომელიც ასეა გადმოცემული სტალინისადმი გაგზავნილ მის ერთ წერილში: „ჩაგრულთა დამცველი წითელი არმიის გამოჩენამ საქართველოს ტერიტორიაზე აუწერელი აღტაცება და ზეიმი გამოიწვია ...თავიანთ მხსნელებს პურმარილით ხვდებოდნენ, ბევრნი სიხარულით ტიროდნენ“.[16]

ტყუოდა სერგო. მას არ უნახავს საბჭოთა არმიის ნაწილების საქართველოში შემოსვლა, რადგან იმ დროს ბაქოში იმყოფებოდა. თვითმხილველი კი (ექიმი იოსებ ასლანიშვილი) ასე აგვიწერს ნანახს: „მაგონდება მე ტფილისი თებერვლის 25-ს, დაღვრემილი, თავზარდაცემული ჩვენი საზოგადოება, ზანტად გამოსული ქუჩაზე,

[13] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 50-51.

[14] М. Траскунов, Героический боевой путь XI армии на фронтах гражданской войны, Тб., 1958, стр. 225.

[15] მ. ტრასკუნოვი, საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები, თბ., 1962, გვ. 129.

[16] გ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, თბ., 1957, გვ. 188.

თითქოს ცხოვრების მიზანი დაჰკარგვია ამ ხალხს და გაოგნებულს აღარ ესმის, რას უნდა ემსახუროს, რა ნაბიჯი უნდა გადადგას, რა გზას მისცეს თავი“.[17]

გაზეთი „კომუნისტი“ თავის პირველ ნომერში, რომელიც თბილისში 1921 წლის 2 მარტს გამოვიდა, ასე განმარტავდა საქართველოში წითელი არმიის შემოჭრას: „საბჭოთა ჯარი შემოვიდა ჩვენში ...ეროვნული თავისუფლების დასაცავად და მუშათა კლასის გასანთავისუფლებლად. აი ასე უნდა დააფასოს მომხდარი ფაქტი ქართველმა მშრომელმა და შესაფერი დასკვნაც უნდა გამოიტანოს“.[18] საბჭოთა პერიოდის სპეციალურ ლიტერატურაში 1921 წლის 25 თებერვალთან დაკავშირებით კი აღნიშნული იყო: „განაწამებ, მენშევიკური რეაქციის ყინულით შეკრულ საქართველოში ამოდის პროლეტარული რევოლუციის მზე“.[19]

ზუსტად იგივე თვალსაზრისი მხატვრულადაა გადმოცემული ქართველი საბჭოთა პოეტის, მურმან ლებანიძის ლექსში, რომელიც სკოლებში ისწავლებოდა:

„ოცდახუთი თებერვალი
გათენდება ხვალ
თებერვალო საქართველოს
გაზაფხული ხარ“.

ფალსიფიცირებული იყო ისტორია და ყალბი იყო ლექსიც. არ დამდგარა გაზაფხული საქართველოში 1921 წლის 25 თებერვალს და არც ზეიმი ყოფილა თბილისის ქუჩებში. იმ დღეს თბილისს, სადაც სიკვდილისა და ნგრევის ცელი შემოვიდა, „თალხი ებურა“, თოვდა, მდუმარე იყო სიონი და ხალხიც „დუმდა“. თუმცა ეს დუმილი მალე დაირღვა და 25 თებერვლიდან სულ რაღაც ორიოდე თვეში დედაქალაქის სტუდენტობამ თუ მუშათა კლასმა ფართო საპროტესტო მოძრაობა გააჩაღა.

[17] გაზ. „ფედერალისტი“, 1921 წ., 16 მარტი.
[18] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 2 მარტი.
[19] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ., VI, თბ., 1972, გვ. 692.

სრულ სიმართლეს ასახავდა ფილიპე მახარაძის წერილი ვ. ლენინისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „მოხდა ის, რომ როდესაც დაიწყო წითელი ჯარების შეტევა, ამ შეტევის მიზანსა და განზრახვაზე არც ერთმა იაჩეიკამ, წარმოიდგინეთ პარტიის არცერთმა წევრმა საქართველოში არაფერი არ იცოდა და იჭვიც კი არ ჰქონდა. ...საქართველოში წითელი ჯარის შესვლამ და საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარად გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე.[20] „მოვლენები განვითარდა რამდენადმე მოულოდნელად და მუშათა კლასი აღმოჩნდა ამ მოულოდნელი ფაქტის წინაშე“.[21]

ფილიპე მახარაძის ამ ფრაზების მიღმა აშკარად იკითხება, რომ წითელი არმიის შემოჭრის დროისათვის საქართველოში არავითარი სააჯანყებო სიტუაცია არ არსებულა, უმნიშვნელო იყო ადგილობრივი ბოლშევიკების როლი და გავლენა საზოგადოებრივ პროცესზე. ამდენად, სრულიად მართებულია კიდევ ერთი ქართველი ხელმძღვანელი კომუნისტის ბესო ლომინაძის სიტყვები, რომ: „ჩვენი რევოლუცია 1921 წელში დაიწყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით წითელი არმიის ხიშტებით, რომელთაც ქართველი პატრიოტები სთვლიან გარეშე ძალად. თვით რევოლუცია გამოიხატა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაში“.[22]

სერგო ორჯონიკიძის სიცრუეზე ზემოთ მივუთითეთ. ლევ ტროცკის მოხმობილი ფრაზებიც სრული სიყალბეა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა და სხვა სიძნელეების მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა ლოიალურად იყო განწყობილი საკუთარი ხელისუფლების მიმართ. ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოთა ჯარების ინტერვენციის შედეგად თბილისიდან დევნილი ნოე ჟორდანიას

[20] http://archive.ge/ka/blog/76

[21] Трудящиеся Грузии - В. И. Ленину. Сборник документов. Сборник документов, Тб., 1964, с. 13.

[22] ჟურნ. „კავკასიონი“, პარიზი, 1968, # 13, გვ. 91.

მთავრობის ზურგს უკან ხალხის შურისძიებისა და რისხვის ტალღა არ აზვირთებულა. „არც ერთი შინაგანი გართულება, არც ერთი უბრალო წესიერების დარღვევა საქართველოს ტერიტორიაზე, არც ერთი თოფის გავარდნა საქართველოს მხედრობის ზურგს უკან. ...მხედრობასთან ერთად უკან იხევს დამარცხებული რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც თვით ფრონტზე და ფრონტის ზურგში მცველები და დარაჯებიც კი არ დასჭირებია. აი, ასეთი სამოქალაქო დისციპლინა და წესიერება დაიცვა მთელმა საქართველომ, ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე, ფოილო-შაგალის ფრონტიდან დაწყებული ვიდრე შავი ზღვის ნაპირებამდე," - წერდა გრიგოლ ლორთქიფანიძე.[23]

სამწუხაროდ, ბევრი არა, მაგრამ მოგვეპოვება წყაროები, რომლებიც მკაფიოდ გვიჩვენებენ ქართული საზოგადოების იმდროინდელ განწყობებს. ვგულისხმობ საქართველოში საბჭოთა ჯარების შემოჭრისა და მათდამი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების ამსახველ, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების დღიურებსა თუ სხვა ჩანაწერებს. მაგალითად, გაუტეხლობა, შემართება და ბრძოლი ჟინი გამოსჭვივის მოხალისე ჯარისკაცის, გივი ღამბაშიძის ჩანაწერებიდან. „უკეთუ ისინი თბილისს აიღებენ, ეს ნიშნავს, რომ ბოლშევიკები ჩვენს გაციებულ გვამებზედ გადაივლიან. ...გაუმარჯოს საქართველოს! ჩვენ საყვარელ სამშობლოს, იმ სამშობლოს, რომლისთვისაც მე ვეწირები", - ჩაწერს დღიურში თბილისის მისადგომებთან, სოღანლუღის ფრონტის ხაზზე მყოფი გიმნაზისტი გივი ღამბაშიძე. ტექსტი მთავრდება ფრანგულ ენაზე მიწერილი ფრაზით „გემშვიდობებით, ვკვდები საქართველოსთვის".[24]

„საქართველო იცოცხლებს, მისგან შორს არის უიმედობა და ამის დამამტკიცებელი ის არის, რომ ხალხის წარმომადგენელნი თბილისის განკითხვის ჟამს კონსტიტუციას იღებენ", - ვკითხუ-

[23] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 37.

[24] ომის დღეები. გ. ღამბაშიძის მოგონებები რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ, თბ., 2017, გვ. 39.

ლობთ იმ დღეებში გამოცემულ გაზეთ „ბათომის ცხოვრებაში“.[25] თბილისის ქალაქის გამგეობა და ხმოსნები ფურგონებსა და დროგებზე შესაფერის წარწერიანი პლაკატებით დედაქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ და ფრონტისათვის შემოწირულობათა შეგროვებას შეუდგნენ. „ხალხი დიდის აღფრთოვანებით სწირავს. გროვდება მრავალი შემოწირულობანი“. „არ არის ნასახი შიშისა და სასოწარკვეთისა“, - გვიმოწმებს ქართული პრესა.[26]

გაზეთ „ერთობის“ თანახმად: „საქართველოს დედაქალაქი არ კარგავს იმ სიდინჯეს, რომელსაც მოითხოვს მისგან დღევანდელი დღე. დამოუკიდებლობის დაცვა საქართველოსათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. მისი ნებით ბოლშევიკები ვერ შემოვლენ აქ. ქართველ ხალხს აქვს ისეთი სიმაგრე, რომელსაც ისინი ვერ მოერევიან ვერც ზარბაზნებით და ვერც ჰაეროპლანებით. ეს სიმაგრე მისი მკერდი, მისი სულიერი განწყობილება“.[27]

საყურადღებოა ასევე დოკუმენტი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პოზიციას ასახავს. უნივერსიტეტელებმა მტკიცე სოლიდარობა გამოუცხადეს რესპუბლიკის ხელისუფლებას და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგომა ითხოვეს. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფს ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის“, - აღნიშნულია წერილში, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სა-

[25] გაზ. „ბათომის ცხოვრება“, 1921 წ., 29 თებერვალი.
[26] გაზ. „ერთობა“, 1921 წ., 20 თებერვალი.
[27] გაზ. „ერთობა“, 1921 წ., 25 თებერვალი.

ხელით საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს გაეგზავნა.[28]

დეოკუპაციის სწრაფი მოლოდინი იკვეთება რკინიგზის ინჟინრის იოსებ მამაცაშვილის მოგონებებში და სხვ. თუმცა არ ვიქნებით ობიექტური თუ არ აღვნიშნეთ, რომ მთელი მოსახლეობა ამგვარი სულისკვეთებით არ ყოფილა გამსჭვალული, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობათა ნაწილში, რომელიც მართლაც მიესალმებოდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში.[29]

მაგალითად, 1921 წლის თებერვალში, საქართველოში რუსეთის წითელი არმიის ნაწილების შემოჭრისთანავე, დამფუძნებელი კრების დაშნაკცუთიუნის ფრაქციის წევრები ბოლშევიკებს მიემხრნენ. მათგან დეპუტატი ზორი ზორიანი ახალციხის რევკომის შემადგენლობაშიც კი შევიდა.[30] ცნობილი ქართველი ემიგრანტის, ისტორიკოს ალექსანდრე მანველიშვილის მოგონების თანახმად, 1921 წლის მარტში ქალაქ ახალციხის საბჭოური ადმინისტრაცია ძირითადად ეთნიკურად სომეხი კომუნისტებით იქნა დაკომპლექტებული.[31]

„აფხაზეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოს თანახმად, ახალი, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება აფხაზეთის ხალხმა აღიქვა, როგორც გადარჩენა რეპრესიებისა და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ჩარევისგან.[32] აქ გადამეტება აშკარაა, მაგრამ ადგი-

---

[28] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწ. 1, საქმ. # 110, ფურც. 13.

[29] ი. მამაცაშვილი, მოგონებები /1921 წლის თებერვალი - ივლისი/, თბ., 2014, გვ. 24.

[30] საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919, თბ., 2016, გვ. 239.

[31] ა. მანველიშვილი, ჩემი მოგონებები, გვ. 11. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის დარბაზი, ჯანრი კაშიას საარქივო ფონდი.

[32] „Утверждение новой власти воспринималось народом Абхазии как избавление от репрессий и вооружённого вмешательства Республики

ლობრივი არაქართველი მოსახლეობის ნაწილში მსგავსი განწყობა ნამდვილად შესამჩნევი იყო.

ცნობილია, რომ შიდა ქართლში კომპაქტურად მცხოვრები ოსთა გარკვეული ნაწილი 1920 წლის ივნისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აქ მოწყობილი აჯანყების ლიკვიდაციისას, კავკასიონს გადაღმა გაიხიზნა. შურისძიების სულისკვეთებით განწყობილი ბევრი მათგანი 1921 წლის თებერვალ-მარტში, შეიარაღებული რაზმების სახით, თან შემოჰყვა მამისონის უღელტეხილით საქართველოში შემოსულ წითელ არმიას და ქართველ მოსახლეობაზე ძალადობით გამოირჩეოდა.

ახლა განსახილველ მოვლენას თვალი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამრეკლოდანაც გადავავლოთ. ცნობილია, რომ ეკლესია უკმაყოფილო იყო სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის კონფესიური პოლიტიკთ და წითელი არმიის შემოჭრის წინა პერიოდისათვის მთავრობის თავმჯდომარესა და ეკლესიის საჭეთმპყრობელს შორის ურთიერთობაც დაძაბული იყო. ყოველივეს მიუხედავად, ეკლესიამ, აცნობიერებდა რა მოსალოდნელ საფრთხეს, სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ქართულ სახელმწიფოს. კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ საკათალიკოსო საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვია, რომელმაც დაადგინა: ა) ეკლესიებში გადახდილ იქნეს პარაკლისები მტრისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის; ბ) წინამძღვრებმა განუმარტონ მრევლს მიმდინარე ომის მნიშვნელობა; გ) სამრევლო საბჭოებმა გაიღონ ქონებრივი ხარჯი ომის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; ვ) კრებული დაეხმაროს ჯარში გაწვეულთა ოჯახებს.[33]

1921 წლის 25 თებერვალი მრავალმა ადამიანმა ეროვნულ და პირად ტრაგედიად აღიქვა. რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებ: მი-

Грузия“. იხ. О. Бгажба, С. Лакоба, История Абхазии с древнейших времен до наших дней, Сухум, 2007, с. 153.

[33] მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბილისი, 2010, 597.

ხეილ ჯავახიშვილი: „25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითი დღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასაც ვეღარ მოვასწრებ“. [34]

პოეტი კოტე მაყაშვილი, ფრონტზე დაღუპული მოწყალების დის, სტუდენტ მარო მაყაშვილის მამა დაწერს:

„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!
გულზე სევდა შემომაწვა თავის მძიმე ლოდებით;
საქართველო გაიჟღინთა მაყაშვილთა გოდებით!“

საფრანგეთში საქართველოს ელჩად დაინიშნული აკაკი ჩხენკელი, რომელმაც რწმუნებათა სიგელები პრეზიდენტ მილიერანს პარიზში სწორედ 1921 წლის 25 თებერვალს გადასცა, თავის დღიურს გაანდობს: „25 თებერვალი. მილიერანმა მიმიღო დიდის ზეიმით: ცერემონია, ესკორტი და ჯანდაბა. ...ჩემი სიტყვა ნახევარი გადავყლაპე. ...როცა საქართველოს ცეცხლი ეკიდება, მოდი და სიტყვა თქვი საზეიმო!“[35]

მაშინ საქართველოში ბევრს ეგონა, რომ ბოლშევიკების შემოსვლით თითქოს დამარცხდა მხოლოდ ქვეყნის მმართველი - სოციალ-დემოკრატიული ძალა და იგი მეორე, - ბოლშევიკური ძალით შეიცვალა. ქართველი პოლიტიკური ემიგრანტის სევერიან ჭირაქაძის სიტყვით: „საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა ბოლშევიზმი და და სოციალ-დემოკრატია (მენშევიკები). „ამ ბრძოლაში იმ მხარემ გაიმარჯვა, რომლის მეთაურებს ხელით მარქსიზმის

[34] https://for.ge/view/181797/qarTveli-bolSevikebic-ar-iyvnen-bolomdedaclilni-erovnulobisgan---maradiuli-meamboxeni-viyaviT-sabWoTa-imperiaSi.html

[35] ა. ჩხენკელი, დღიურები. დაცულია თსუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკის არქივში.

დროშა მოჰქონდათ, გულით კი რუსული იმპერიალიზმი. დამარცხდა ის მხარე, რომლის მეთაურები ეროვნული დროშით იბრძოდნენ, ხოლო გულში მარქსიზმს ატარებდნენ“.[36]

თუმცა იყო უფრო საღი აზრიც. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია აცხადებდა: „ჩვენ გვებრძვიან არა ლორესათვის, არა ბორჩალოსათვის, არა. ჩვენ გვებრძვის ამ შემთხვევაში იდეა საბჭოთა რუსეთისა, გვებრძვის არა რომელიმე ნაჭრისათვის ჩვენ, არამედ მთელი საქართველოსათვის“.[37] ასევე, გაზეთი „საქართველოც“ დაბეჯითებით მიუთითებდა: „ნამდვილად ბოლშევიკების ერთად-ერთი მიზანი ის არის, რომ გაანადგურონ საქართველოს რესპუბლიკა და ისე დაუმორჩილონ დიდ რუსეთს, როგორც ეს ჰქნეს აზერბაიჯანში, სომხეთში და სადაც კი მისულან“.[38]

შექმნილ ვითარებას ადექვატურად ასახავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვაც „ყველას, ყველას, ყველას!“, რომელშიც ხაზგასმულია: „რუსეთის საბჭოთა მთავრობა იდენს ისტორიაში უმაგალითო ბოროტმოქმედებას. მას შემდეგ, რაც დაარღვია ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულება, მან გადასწყვიტა, წითელი დროშის და ლამაზი ლოზუნგების ნიღბის ქვეშ, შეიარაღებული ძალით მოსპოს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენობა!“[39]

1921 წლის 25 თებერვალი საქართველოში არ ყოფილა მხოლოდ ხელისუფლების მარცხი და მისი სხვა ხელისუფლებით უბრალო ჩანაცვლება. სინამდვილეში დამარცხდა და დაემხო თავისუფლების გზაზე ახლად გამოსული ქვეყანა, დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც ჰქონდა განვითარების პერსპექტივა. საქართველოში დამყარდა საოკუპაციო რეჟიმი, რასაც პოლიტიკური რეპრე-

[36] ო. ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990, გვ. 58.
[37] გაზ. „საქართველო“, 1921 წ., 17 თებერვალი.
[38] გაზ. „საქართველო“, 1921 წ., 23 თებერვალი.
[39] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., 18 თებერვალი.

სიებისა და საბჭოთა ტოტალიტარიზმის 70 წლიანი პერიოდი მოჰ-ყვა.

დასასრულს, 25 თებერვლის განცდა და რუსეთის მიერ საქარ-თველოს ოკუპაცია არ არის ჩვენი მხოლოდ ისტორიული მეხსიერ-ების ნაწილი. სამწუხაროდ, იგი თანამედროვე ქართული სინამ-დვილისა და ჩვენი ყოფის ნაწილიც გახლავთ, ჩვენი მტკივნეული ყოველდღიურობაცაა. ჩვენ დღესაც არ არა ვართ დაზღვეული, რომ 1921 წლის თებერვალი, თუნდაც განსხვავებული ფორმით, აღარ განმეორდება, რადგან რუსეთს ახლაც, საერთაშორისო სამართლის სრული იგნორირებით, ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერი-ტორტიების ნაწილი და არც ამით დაკმაყოფილებას აპირებს. ამიტ-ომ, 25 თებერვლისა და ოკუპაციის გახსენება საზოგადოებისათვის სიფხიზლისაკენ მოწოდებაცაა და იგი არ უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ გარკვეულ თარიღებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

საარქივო მასალები:

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრა-ლური არქივი, ფონდი 471, ანაწ. 1, საქმ. # 110.

მანველიშვილი ა., ჩემი მოგონებები. საქართველოს პარლამენ-ტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის დარბაზი, ჯანრი კაშიას საარქივო ფონდი.

ჩხენკელი ა., დღიურები. თსუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკის არქივი.

პერიოდული პრესის მასალები:

გაზ. „ბათომის ცხოვრება“, 1921 წ., 29 თებერვალი.

გაზ. „ერთობა“, 1921 წ., 25 თებერვალი.

გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 30 აპრილი.

გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 2, 3 მარტი.

გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ., 8 ივნისი.

გაზ. „საქართველო“, 1921 წ., 17, 23 თებერვალი.
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., 18 თებერვალი.
გაზ. „ფედერალისტი“, 1921 წ., 16 მარტი.
გაზ. „წითელი არმიელი“, 1921 წ., 1 მაისი.
ჟურნ. „კავკასიონი“, პარიზი, 1968, # 13.

პუბლიკაციები:

ლენინი ვ., თხზ., ტ. 45, თბ., 1974.
ლორთქიფანიძე გ., ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995.
მამაცაშვილი ი., მოგონებები /1921 წლის თებერვალი - ივლისი/, თბ., 2014.
მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბილისი, 2010.
ომის დღეები. გივი. ღამბაშიძის მოგონებები რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ, თბ., 2017.
ორჯონიკიძე გ., სტატიები და სიტყვები, თბ., 1957.
საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919, თბ., 2016.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ., VI, თბ., 1972.
ტრასკუნოვი მ. საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები, თბ., 1962.
წულაძე ლ., სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, თბ., 2020.
ჯანელიძე ო., 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990.
ჯანელიძე ო. დახვრეტილი თავისუფლება, თბ., 2000.
Бгажба О., Лакоба С., История Абхазии с древнейших времен до наших дней, Сухум, 2007.
Владимир Ильич Ленин, Биографическая хроника, т. 10, М., 1979.
Траскунов М., Героический боевой путь XI армии на фронтах гражданской войны, Тб., 1958.
Троцкий Л., Между империализмом и революцией. Берлин,1922.
Трудящиеся Грузии - В. И. Ленину. Сборник документов. Сборник документов, Тб., 1964.
http://urakparaki.com/?m=4&ID=66663

http://archive.ge/ka/blog/76
https://for.ge/view/181797/qarTveli-bolSevikebic-ar-iyvnen-bolomde-daclilni-erovnulobisgan---maradiuli-meamboxeni-viyaviT-sabWoTa-imperiaSi.html

Otar Janelidze

February 25, 1921 from different angles

Abstract

The Bolshevik occupation of Georgia in 1921 is symbolized in the concept of "February 25", despite the fact that the conquest of our country ended on March 18, when the government of the Democratic Republic of Georgia emigrated and Batumi was occupied by Soviet Russian troops.

The article is based on a method of discussing the issue from different perspectives. It presents the positions of the main actors of the Bolshevik occupation of Georgia, the Soviet Russian government, the military and political leadership of the XI Red Army, Georgian soldiers, fighting against the aggressor, state and political figures in the Democratic Republic of Georgia, eyewitnesses - writers, poets, publicists and ordinary citizens.

Key words: Occupation, February 25, Democratic Republic of Georgia, Soviet Russia, Red Army.